საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაჰერი მოჰამედ

თაჰერი მოჰამედ, XVII ს. სპარსელი ისტორიკოსი, შაჰ-აბას II-ის (1642–66) სამეფო კანცელარიის უპირველესი მოხელე. ხელი მიუწვდებოდა სახელმწ. ოფიც. საბუთებზე, ავტორია თხზულებისა „თარიხ-ე შაჰ აბას-ე სანი" („შაჰაბას მეორის ისტორია"). თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XVII ს. შუა ხანების ირან-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად. საინტერესო ცნობები გვხვდება ასევე დას. საქართველოს, კერძოდ, იმერეთისა და სამეგრელოს შესახებ, რაც თხზულების ღირსებას კიდევ უფრო ზრდის.

ლიტ.: მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ქართულად თარგმნა ვლ. ფუთურიძემ, «მსკი», 1954, ნაკვ. 30.

ლ. მანიავა